# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოროშაბათი, 25 დეკემბერი. 2023 წ. №145 (9677) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## პოლიტიკური შარლატანის ახალი „აფეთქება“




# ქართველმა ხალხმა უნდა მოინდომოს და 2024 წელს ნაცური ოპოზიცია ბოლომდე ჩარეცხოს!

იხ. 3 გვ.

## 2024 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდება

23 დეკემბერს ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე ქალაქებისა და კურორტების განვითარების ახალი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შერჩეულ მდებარეობათა ურბანული განვითარების კონცეფციები განიხილეს. პროგრამა პრემიერის გადაწყვეტილებით 2023 წელს დაიწყო. პირველ ეტაპზე შერჩეულია ათი მდებარეობა: ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, მესტია და ყაზბეგი. შემუშავებული კონცეფციების საფუძველზე ცხრა მუნიციპალიტეტში უკვე ეტაპობრივად დაიწყება მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოები, ხოლო ბაკურიანის არეალზე დაგეგმილია ტენდერის გამოცხადება.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5-წლიანი პროგრამისთვის 1 მლრდ ლარი არის გამოყოფილი. საუბრისას აღინიშნა, რომ ახალი სახელმწიფო პროგრამა ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის განვითარებას, ისე სამუშაო ადგილების შექმნას.

მთავრობის მეთაურმა ასევე მოისმინა ინფორმაცია მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობათა შესახებ. საკითხის მნიშვნელობაზე საუბრისას ხაზი გაესვა, რომ ღონისძიება საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარდება. ეკონომიკურ საბჭოზე განიხილეს გონიოს განვითარების გეგმა. წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით განხორციელდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები ტერიტორიის მდგრადი განვითარების მიზნით, რომელიც მოიცავს სასტუმრო და საცხოვრებელ კომპლექსებს, სავაჭრო ცენტრებს, სარეკრეაციო და სპორტულ ინფრასტრუქტურას, ჭარბტენიან ლანდშაფტებს. პროექტის განხორციელების პერიოდში რამდენიმე ათეული ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

## ედიშერ გვენეტაძე:

### თაღლითობის მუხლით უნდა აღიძრას საქმე სააკაშვილის ექიმების წინააღმდეგ!

იხ. 3 გვ.

## „სასარგებლო იდიოტები“ - ⑥ ევროპარლამენტში

## ეკონომიკურად რას ვიგებთ ④ ევროკავშირთან თანამშრომლობით?!

## გვახსოვს



## ქართული საისტორიო სკოლის სახელოვანი წარმომადგენელი

### აკაკი სურგულაძის დაბადებიდან 110 წლისთავი

**შესრულდა 110 წელი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატის აკაკი სურგულაძის დაბადებიდან.**

ქართული საისტორიო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი აკაკი სურგულაძე სახელოვანი მეცნიერი და გამორჩეული საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც თავისი შემოქმედებით მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებას.

აკაკი ნესტორის ძე სურგულაძე 1913 წლის 24 ივნისს გურიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ შემოქმედში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) დაიბადა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. აკაკი სურგულაძე 1934 წელს შევიდა და 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა ამ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს აქვე ჩაირიცხა ასპირანტურაში და, ვიდრე 1941 წელს მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე გაიწვევდნენ, პროფესორ მიხეილ პოლიევქტოვის ხელმძღვანელობით იღრმავებდა ცოდნას საისტორიო მეცნიერებაში. იგი ამავდროულად მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტში ლიტრედაქტორის თანამდებობაზე. დემობილიზაციის შემდეგ ისევ უნივერსიტეტს დაუბრუნდა. ნიჭიერი ახალგაზრდა სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის წევრად მიიღეს.

იხ. 5 გვ.

## მანანა ჩიტიშვილი:



იხ. 7 გვ.

### ...„რომ სამშობლო თვით სიკვდილზე მეტია“

---

## ანატორი

# ჩვენმა სტუდენტებმა მთავრობის დაფინანსებით მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში მიიღეს განათლება, ასე გაგრძელდება მომავალშიც...



## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2023 წლის ანგარიშს აბარებს ქართველ ხალხს

**წელს დავიწყეთ შიდა საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის რეფორმირება და გვინდა, რომ 2024-2025 წლებში დასრულდეს ეს რეფორმაც. შედეგად, გაუმჯობესდება მგზავრთა გადაყვანის მომსახურების ხარისხი. კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და უსაფრთხოების დონის ამაღლება არის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ რეფორმისა. წარდგენილია ეს პაკეტი პარლამენტში.**

რეგიონებში აქტიურად დავიწყეთ თანამედროვე, ევრო 5 სტანდარტის ავტობუსების შეძენა, წელს უკვე შევიძინეთ 150 ავტობუსი, ნაგავმზიდები და ა.შ. ასევე დაგეგმილი არის სხვა უფრო მცირე ავტობუსების შეძენაც. ჩვენ გვინდა, რომ სრულიად ჩავანაცვლოთ ეს ავტობუსები, სამარშრუტო ტაქსები და ჩვენმა მოქალაქეებმა იმგზავრონ კომფორტული ტრანსპორტით.

ახლა რაც შეეხება გზებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, 2012 წლამდე აშენდა 68 კმ ჩქაროსნული ავტომაგისტრალი, 2013 წლიდან დღემდე აშენებულია 3-ჯერ მეტი, ანუ 203 კმ მაგისტრალური გზა. მხოლოდ წელს გაიხსნა 37 კმ მაგისტრალური გზა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პროექტი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ საუკუნის პროექტი. მათ შორის წელს გაიხსნა რიკოთის მაგისტრალური გზის 27 კმ-იანი მონაკვეთი, რამაც შეამცირა მნიშვნელოვნად გადაადგილების მანძილი და დრო. ასევე გაიხსნა გრიგოლეთი-ქობულეთის 6 კმ-იანი მონაკვეთი. წელს გაიხსნა კახეთის მაგისტრალის პირველი 4 კმ-იანი საგზაო მონაკვეთი და აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა; გადავდივართ კახეთის მაგისტრალის შემდგომ ფაზებზე, ინტენსიური სამუშაოები გრძელდება დარჩენილ 30 კმ-იან მონაკვეთზე, რომლის დასრულება 2024 წელს არის დაგეგმილი. ასევე წელს დაიწყო საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც 2025 წელს დასრულდება. სამუშაოები მიმდინარეობს ქვეშეთი-კობის გზისა და გვირაბების მშენებლობის ისტორიულ პროექტზეც. 9 კმ-იანი, 15 მეტრი დიამეტრის გვირაბის გაყვანა სპეციალურად ამ პროექტისთვის დამზადებული დანადგარით გრძელდება. გვირაბის 8 კმ უკვე გაჭრილია. ახალი მონაკვეთი 11 კმ-ით შეამცირებს ქვეშეთიდან კობამდე გადაადგილების მანძილს და მგზავრობას 1 საათის ნაცვლად 15 წუთი დასჭირდება.

წელს მიმდინარეობდა 1 000 კმ გზის რეაბილიტაცია და პერიოდული შეკეთება, საიდანაც სამუშაოები დასრულდა 500 კმ-ზე.

ჯამურად, ბოლო 11 წელიწადში, გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას მოხმარდა 13.6 მილიარდ ლარზე მეტი; აშენდა და რეაბილიტირდა 16 000 კმ-ზე მეტი გზა. მხოლოდ წელს გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას მოხმარდა 2 მილიარდ ლარზე მეტი. ეს არის კონკრეტული შედეგი ბოლო 11 წლის მუშაობის.

რეგიონებს რაც შეხება, ბოლო 11 წელიწადში, 10 800 კილომეტრამდე მუნიციპალური გზა დაიგო, ამ გზების დაგება-რეაბილიტაციაში 3.3 მილიარდი ლარი დაიხარჯა.

ძალიან მოკლედ შევეხები წყალმომარაგების საკითხებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. 2012 წელთან შედარებით 15-ჯერ არის გაზრდილი წყალმომარაგების ბიუჯეტი, იყო 30 მილიონი ლარი, და ახლა არის 500 მილიონი ლარი. ამჟამად მიმდინარეობს 3 მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების პროექტები 170-ზე მეტ მდებარეობაში, რომელთაგან სამოცი წელს დასრულდება. შედეგად ჩვენ 2025 წლის ბოლომდე ყველა ქალაქში გვექნება 24-საათიანი წყალმომარაგება.

2012 წლამდე გაზიფიცირებული იყო მოსახლეობის დაახლოებით 55%, დაახლოებით 700 000 აბონენტი.

ბოლო 11 წელში საქართველოს რეგიონების გაზიფიცირებაზე გამოიყო 500 მლნ ლარამდე. ამჟამად ქვეყანაში ბუნებრივი გაზის 1 500 000 აბონენტია. აქაც 2-ჯერ მეტი ზრდა გვაქვს ბოლო 11 წელიწადში.

შედეგად, 2024 წლის ბოლოს ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 93%-ს ექნება წვდომა ბუნებრივ გაზზე.

მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონების ურბანული განახლება. მოგეხსენებათ, რომ ორი წლის წინ ჩვენ დავიწყეთ თითოეული მუნიციპალიტეტის ცენტრების განახლება. 63 მუნიციპალიტეტში დასრულებულია პროგრამის პირველი ეტაპის სამუშაოები. 40 ჰექტარზე მეტ ფართობზე მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 100-ამდე პარკს და სკვერს; რეაბილიტირდა 730-ზე მეტი შენობა; აშენდა 1 კმ-იანი ბულვარი ქობულეთში; პროექტების განსახორციელებლად დახარჯული არის 550 მილიონი ლარი.

წელს ჩვენ დავიწყეთ კიდევ უფრო ამბიციური პროექტის – „ქალაქებისა და კურორტების განვითარების“ – 5-წლიანი სახელმწიფო პროგრამა. პირველი შეფასებით მილიარდი ლარი მოხმარდება ამ ქალაქებისა და კურორტების განვითარებას. პროექტირება და მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია ბორჯომში, ბაკურიანში, ქუთაისში, წყალტუბოში, თელავში, ზუგდიდში, ბათუმში, მცხეთაში, მესტიასა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში.

გრძელდება მაღალმთიანი დასახლებების მხარდაჭერა. დღეისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსით სარგებლობს 263 ათასზე მეტი ადამიანი და 500 საწარმო. შეღავათებზე მიიმართა დაახლოებით 100 მილიონი ლარი შარშან, ხოლო წელს 121 მილიონი ლარია დახარჯული მაღალმთიანი რეგიონების დასახმარებლად.

მნიშვნელოვანია ფისკალური დეცენტრალიზაცია. ფისკალური დეცენტრალიზაციის ფარგლებში დღგ-ს განაწილების სისტემაზე გადასვლის შედეგად წლის ბოლოსათვის ჩვენ ველოდებით, რომ მუნიციპალიტეტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება დაახლოებით 1 მილიარდ 600 მილიონი ლარი, რაც დაახლოებით 100%-ით მეტია 2018 წელთან შედარებით.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის მიმართულებით მთავრობის მუშაობა. ჩვენ ბიუჯეტი გავახუთმაგეთ ამ მიმართულებითაც.

ბოლო 10 წლის განმავლობაში 2-ჯერ გაიზარდა დაცული ტერიტორიების ფართობი. 100 დაცული ტერიტორიის საერთო ფართობი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 13%-ია.

ახლა ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ 1200 კმ-ამდე სიგრძის საფეხმავლო ბილიკებისა და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე 15 დაცულ ტერიტორიაზე, რაც მნიშვნელოვანი ატრაქცია იქნება ჩვენი მოქალაქეებისა და ტურისტებისათვის.

2012 წელს აღდგენილი იყო 100 ჰა-მდე ტყის ფართობი; წელს 40-ჯერ, ანუ 4000 ჰა-მდე გაიზარდა აღდგენილი ტყის ფართობი.

გარემოს დაცვის მიმართულებით გავზარდეთ ბიუჯეტი. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ ასევე ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად: მსუბუქი ავტომობილებისთვის 1 იანვრიდან, ხოლო ავტობუსებისა და სატვირთო ავტომობილებისთვის 2025 წლიდან ევრო 5 სტანდარტის შემოღება გვაქვს გადაწყვეტილი. ამ თარიღებიდან ქვეყანაში ვეღარ დარეგისტრირდება ევრო 5 სტანდარტზე უარესი ხარისხის, 2013 წლამდე გამოშვებული, ავტომობილი. გადაწყვეტილება არ შეეხება უკვე არსებულ, ასევე – რეექსპორტისა და ტრანზიტის მიზნებისთვის შემოსულ ავტომანქანებს.

ღონისძიებათა მთელ კომპლექსს გულისხმობს ადრეული გაფრთხილების სისტემა.

მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) პროექტის ფარგლებში 150-ზე მეტი მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონიტორინგის სადგური იქნა შეძენილი. ნაწილი უკვე დამონტაჟებულია და პროცესი გრძელდება. ბოლო წლებში შევისყიდეთ ორი თანამედროვე რადარი. წლის ბოლომდე დასრულდება რუკები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა სტიქიის მიმართულებით არსებულ საფრთხეებს.

16 მილიონი ლარით გაიზარდა გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტი და მომავალი წლიდან იგეგმება მნიშვნელოვანი ღონისძიებები – მყინვარული ხეობების საფრთხეების შეფასება, მეწყრული უბნების მონიტორინგი და ადრეული შეტყობინების სისტემის გაძლიერება.

რაც შეეხება განათლების მიმართულებით მთავრობის მიერ გაწეულ სამუშაოებს, მოგეხსენებათ, რომ 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სისტემის ბიუჯეტი იყო 626 მილიონი ლარი. წელს უკვე ბიუჯეტმა 2 მილიარდ ლარს გადააჭარბა და 2024 წელს იქნება რეკორდული – 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი. 300 %-იანი ზრდა გვაქვს განათლების მიმართულებით ბოლო 11 წელიწადში.

2012 წელს ფუნქციონირებდა 1,200 საჯარო საბავშვო ბაღი, რომლებიც, რა თქმა უნდა, ფასიანი იყო. 2012 წლის შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, 1,690 საჯარო საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს და ყველაფერი არის უფასო.

ასევე ჩვენ დავიწყეთ კიდევ ერთი ამბიციური პროექტი, რომელიც გულისხმობს თითქმის 1000-ამდე საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია- მშენებლობას. ამ პროგრამის ფარგლებში მილიარდ 300 მილიონი იქნება გამოყოფილი და ყველა ბაღი მოეწყობა ერთიანი ევროპული, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. ამჟამად 208 ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის პროექტები მიმდინარეობს, ხელშეკრულებები გაფორმებულია უკვე.

რაც შეეხება სკოლების პროექტს, მოგეხსენებათ, რომ – ასევე ჩვენ შარშან დავაანონსეთ და დავიწყეთ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ჩვენი გეგმის მიხედვით, 2027 წლისთვის ყველა სკოლა ქვეყანაში უნდა იყოს დასრულებული, გარემონტებული და აშენებული ერთიანი ევროპული სტანდარტის მიხედვით. აქაც საინტერესო იქნებოდა შედარება, 2012 წლამდე გაგეცინებათ და 16 ახალი სკოლა იყო აშენებული. მანამდე რამდენიმე ასეული სკოლა გარემონტდა, ისიც მხოლოდ „ქართუ“ ფონდისა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით.

ახლა მიმდინარეობს უკვე, 880-ზე მეტი სკოლის რეაბილიტაცია- მშენებლობა. აი, ეს არის რეალური განსხვავება იმისა, თუ როგორ ზრუნავს დღევანდელი მთავრობა განათლებასა და მომავალ თაობაზე და როგორ ზრუნავდა წინა ხელისუფლება.

ასევე მინდა შევეხო ანაზღაურების საკითხს – 2012 წელს მასწავლებლის საშუალო ხელფასი იყო 330 ლარი, რაც გაზრდილია 270%-ით, დღეს არის 1230 ლარი.

ჩვენ ასევე მივიღეთ უპრეცედენტო გადაწყვეტილება და 2024 წლიდან 500 ლარით და მეტით გაეზრდებათ მასწავლებლებს ხელფასები და გახდება 1700-1800 ლარი და ზევით.

რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ მეტი უნდა გავაკეთოთ, რათა მეტად იქნას დაფასებული მასწავლებლის ღვაწლი, მათი წახალისება გაგრძელდება მომავალში, ისევე როგორც კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რაზეც ახალი მინისტრი აქტიურად მუშაობს.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, მოგეხსენებათ, რომ ესეც ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, ვინაიდან პროფესიული განათლება პირდაპირ უკავშირდება სამუშაო ადგილების შექმნას და, ზოგადად, დასაქმების საკითხს. აქაც ჩვენ 9-ჯერ გავზარდეთ პროფესიული განათლების დაფინანსება. აშენდა ახალი პროფესიული კოლეჯები და ახალი სახელოსნოები. ამჟამად მიმდინარეობს 4 ახალი პროფესიული კოლეჯისა და 4 ახალი სახელოსნოს მშენებლობა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2012 წლამდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები არ არსებობდა უფრო მეტიც, არ შეესაბამებოდა ერთიან ევროპულ სტანდარტებსა და პრინციპებს.

უკვე სტანდარტები და პროცედურები არსებითად განახლდა და შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ სტანდარტებთან და პროცედურებთან. დღეს საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტები ფასდებიან ევროპული სტანდარტებით. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა იყო, რაც ჩვენმა მთავრობამ განახორციელა.

150 ლარი იყო სტუდენტის სტიპენდია და გახდა 300 ლარი;

ჩვენ წელს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ – 30 000-ამდე სტუდენტს ჩამოვაწერეთ, გავუნულეთ დავალიანება, რომელიც ჰქონდათ ფინანსური დავალიანების გამო შეჩერებული და სტატუსის აღდგენა შეეძლება ნებისმიერ სტუდენტს. როგორც ვიცი, რამდენიმე ათასმა აღიდგინა სტატუსი;

რა თქმა უნდა, გაგრძელდება ჩვენი წარმატებული, წარჩინებული სტუდენტების დახმარება და მათი განათლების მიღება საზღვარგარეთ, 1200-ამდე სტიპენდიატი ჰყავს დღეს განათლების საერთაშორისო ცენტრს, რომელიც რამდენიმე წლის წინ, 2014 წელს, დავაფუძნეთ, მათ მიიღეს განათლება 30-ზე მეტი ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, ჯამურად დაიხარჯა 42 მილიონ ლარზე მეტი.

იხ. 4 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №143-144

**რა სუპერ-პაკი, რის სუპერ-პაკი!!!**

## პოლიტიკური შარლატანის ახალი „აფეთქება“

# ქართველმა ხალხმა უნდა მოინდომოს და 2024 წელს ნაცური ოპოზიცია ბოლომდე ჩარეცხოს!

## მიშას SUPERPAC ხელმოცარულ ოპოზიციას ვერაფერში ვერ წაადგება!






**საააკაშვილი ახალი იდეების გენერატორობას არ ეშვება. წარუმატებელი ერთიანობის მანიფესტის შემდეგ სუპერ პაკის შექმნაზე ალაპარაკდა და ხელმოცარულების გაერთიანებას აპირებს. სუპერ პაკი, მისეული ახსნით, ნიშნავს პოლიტიკური აქტიურობის ერთიანობის კომიტეტს, რომელიც „ნაცმოძრაობასთან“ ერთად უნდა შეიქმნას. სააკაშვილის ვარაუდით, კომიტეტში 20-25 ადამიანი უნდა იყოს და მათ მუდმივი სათათბირო უნდა ჰქონდეთ. ეს იქნება ამერიკული კომიტეტის მსგავსი ორგანიზაცია, სადაც შევლენ „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე, გენერალური მდივანი, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, რომლებიც აუცილებელი არ არის, „ნაცმოძრაობას“ წარმოადგენდნენ.**

**„ჩვენ გვჭირდება ოპოზიციის სრული კოორდინაცია, მიუხედავად სხვადასხვა შეხედულებებისა, კოორდინაციის გარეშე საქმე არ კეთდება. ძალა ერთობაშია“,** – ამბობს **პრეზიდენტყოფილი.**

რა თქმა უნდა, კომიტეტში იქნება თავად მიშა, როგორც „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე, ასევე, აქ იქნება მიშასთვის ამ ეტაპზე შეუცვლელი **სოფო ჯაფარიძე**, გარდა ამისა, დიასპორის ერთი წარმომადგენელი ამერიკიდან და ორი წარმომადგენელი ევროპიდან და სხვა. ეს უნდა იყოს იდეების გენერირების ადგილი, ყოველგვარი ბიუროკრატიისგან თავისუფალი, მოქნილი სტრუქტურა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ირაკლი ზარქუა** ამბობს, რომ სააკაშვილი ჯანზეა და სუპერ-პაკ-ზე ფიქრობს, ამდენად, ზარქუა მიმართავს ჭიჭეს, ხაბეს, ხოშტარიას, ჯაფარიძეს, შეასრულონ თავიანთი ბელადის დავალება და მიაწვნენ სუპერ-პაკ-ს.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ნაცისტი ლიდერი **გიორგი ვაშაძე** ერთ-ერთია, ვინც „ვივამედის“ პაციენტის დავალებას შეასრულებს. ვაშაძე სხვებსაც მოუწოდებს, ვინც დაინახავს ამ ინიციატივაში თავის თავს, კარი ყველასთვის ღიაა.

**„რა სუპერ-პაკი“, რის „სუპერ-პაკი“, ცოტა ზეციდან დაეშვან, მიწაზე ჩამოვიდნენ და რაც რეალურია, იმაზე ისაუბრონ. ჩვენი მოქალაქეებისთვის „ნაცმოძრაობა“ წარსულის პოლიტიკური ძალაა. უნდა დაიშალონ“,** – აცხადებს პარტია „საქართველოსთვის“ დეპუტატი **მიხეილ დაუშვილი**.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** სააკაშვილის ინიციატივაში ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავს. ანალიტიკოსის აზრით, უბრალოდ, ეს არის სააკაშვილის მცდელობა, რაღაცნაირად ისევ იტივტივოს საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე, რადგან ის არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ცხოველი და, აქედან გამომდინარე, მას არ შეუძლია პასიურად ადევნოს თვალი პოლიტიკურ ცხოვრებას.

ზაალ ანჯაფარიძის მოსაზრებით, სააკაშვილი ახლა ცდილობს საკუთარი პერსონის წარმოჩენას, თითქოს მას ისევ აქვს პოლიტიკური გავლენები, თითქოს ისევ პოპულარულია, ისევ შეუძლია ხალხის წაძღოლა. თუმცა მისი პოლიტიკური აქციები იმდენად დაცემულია და მისი ავტორიტეტი იმდენად გაუფერულებულია, რომ შეიძლება, მხოლოდ სააკაშვილის ფანატებისგან იყოს გამოხმაურება და გაერთიანების შექმნის მცდელობა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, ამას სერიოზული მომავალი არ ექნება. ამ უპერსპექტივობის მიზეზი ერთია – დღეს „ნაცმოძრაობასთან“ და სააკაშვილთან ასეთი პირდაპირი ასიმილაცია ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის პოლიტიკურად, რეპუტაციულად, ელექტორალურად წამგებიანია. არაერთი პოლიტიკური პარტიის მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, რომ მას შემდეგ, რაც მათ „ნაცმოძრაობასთან“ პოლიტიკური ფლირტი გააბეს, დაკარგეს ამომრჩევლები, პარტიიდან წავიდა ხალხი. ასე მოხდა „ლელოს“, გახარიას პარტიის შემთხვევაში.

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** მიიჩნევს, რომ „ვივამედის“ პაციენტის გზავნილი პაკ-ის შექმნის შესახებ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილს სურს, ყველას უჩვენოს, რომ რჩება ლიდერად, რომელიც ზრუნავს გაერთიანებაზე, არადაქსაქსულობაზე. თუმცა მისი ეს გეგმა მოწყვეტილია რეალობას, რეალობა კი საქართველოში ასეთია – ხმას აძლევენ პიროვნებას და არა პარტიას, თავისი პროგრამით, გეგმებით.

**„სააკაშვილი სწორედ ის ადამიანია, რომელიც წლიდან წლამდე, საქართველოდან სამარცხვინოდ გაქცევის მიუხედავადაც კი, მაინც აგროვებდა გარკვეული რაოდენობის ხმებს. 2016 წელს პირადად მან გაიყვანა 28 ადამიანი პარლამენტში, ხოლო 2020 წელს – 36 ადამიანი, რაც მეტია, ვიდრე ყველა დანარჩენი ოპოზიციური პარტიის მიერ ერთად გაყვანილი ადამიანები. მაგალითად, ბოკერია 5 ადგილით გავიდა, ანუ 7-ჯერ ნაკლებით. ამჯერად არჩევნებზე ბლოკები აკრძალულია, უნდა იყოს ერთიანი სია. ამ სიის სათავეში თუ იქნება სააკაშვილი, რა თქმა უნდა, გარკვეულ ხმებს მიიღებენ და ბარიერს გადალახავენ. ამდენად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ამ სიაში ვინ მოხვდება პირველ, მეორე და გამსვლელ ადგილებზე. ეს არ აწყობთ იმ დაჯგუფებებს, რომლებმაც იციან, რომ გამსვლელ ადგილებზე ვერ ჩასვამენ, რადგან ამდენი გამსვლელი ადგილი არ არის.**

**ამიტომ სააკაშვილის მოწოდება არ შესრულდება და გაერთიანება ვერ მოხდება. როდესაც არსებობს ადამიანი, რომელსაც ბევრი ამომრჩეველი მისცემს ხმას, როგორიც იყო პირადად ივანიშვილი 2012 წელს, მაშინ პატარ-პატარა პარტიების ლიდერები ივიწყებენ თუნდაც იმას, რომ მანამდე ერთმანეთს ლანძღავდნენ უკანასკნელი სიტყვებით, ყველაფერს გვერდზე გადადებენ, ოღონდ მოხვდნენ პარლამენტში. საქართველოში ეს ყოველთვის ასე ხდებოდა, ასე მოხდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, სააკაშვილის არჩევნებისას. თუმცა ახლა ასეთი ვითარება არ იქნება“,** – აცხადებს **პეტრე მამრაძე** ჩვენთან საუბრისას და, შეკითხვის საპასუხოდ, რამდენად აწყობს ოპოზიციას, ნაცებს მიჰყავდეთ პარადი, აცხადებს, რომ **აწყობთ თუ არა ეს ნაცებს, აქ მთავარია, რომ ოპოზიციაში არავის არ ჰყავს ისეთი ქარიზმატული ლიდერი, რომელსაც ხალხი მისცემს ხმას.**

პეტრე მამრაძის შეფასებით, 2020 წელს რომ ყოფილიყო 4-5%-იანი ბარიერი, ნაცების გარდა ვერც ერთი დაჯგუფება ვერ შევიდოდა პარლამენტში, რადგან ყველამ დააგროვა 3% და ნაკლები, ახლა უფრო უარესი ვითარებაა მათთვის. მართალია, ოპოზიცია ირწმუნება, რომ პატიოსნად გადალახავს ბარიერს, მაგრამ გაერთიანებები მათ ვერ უშველის, გაერთიანებები მაშინ მუშაობს, როდესაც არსებობს ლოკომოტივი, რომელიც ყველას შეიყვანს პარლამენტში, ასეთი ადამიანი ოპოზიციაში ერთადერთია – სააკაშვილი, თუმცა ისიც არ ვიცით, რამდენი ხმა დააკლდა სააკაშვილს საქართველოში ქურდულად შემოპარვის და პატიმრობისას ავადმყოფობის მასშტაბური სიმულაციის შემდეგ.

**მანანა ნოზაძე**

---



## ელიშერ გვენეტაძე: თაღლითობის მუხლით უნდა აღიძრას საქმე სააკაშვილის ექიმების წინააღმდეგ!

**სააკაშვილის მდგომარეობის გათვალისწინებით, პოლიტიკური ჯგუფი „საქართველოსთვის“ ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ პატიმარი კლინიკა „ვივამედიდან“ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანონ. როგორც დეპუტატმა მიხეილ დაუშვილმა პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, არ შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევისა და მონაწილეობის უფლება ექლეოდეს. დაუშვილის თქმით, ადგილი აქვს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ სისტემატურ დარღვევას, რაც უნდა შეწყდეს და ახალი წლების შემდეგ მაინც გადაყვანილ იქნას მიხეილ სააკაშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.**

**„მიმდინარეობს „ნაცმოძრაობის“ გადარჩენის და ხელახალი გაერთიანების სპეცოპერაცია, რომლის ორგანიზატორიცაა დღევანდელი „ოცნება“ და რომელიც ტარდება კორუფციისთვის სანქცირებული ჩინჩალაძე-მურუსიძის სასამართლო სისტემის გამოყენებით. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მართლმსაჯულებას პასუხები უნდა გასცეს, სასამართლო სხდომაზე, პალატიდან, პირდაპირ ეთერში ატარებს პარტიულ თათბირს.**

იხ. 6 გვ.

# ჩვენმა სტუდენტებმა მთავრობის დაფინანსებით მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში მიიღეს განათლება, ასე გაგრძელდება მომავალშიც...

(მეორე გვერდიდან)

**...ახლა მინდა გადავიდე ჯანდაცვის მიმართულებით და მოკლედ კიდევ ერთხელ შევეხები ჩვენ მიერ გაწეულ სამუშაოებსა და იმ ძირითად რეფორმებს, რამაც მოიტანა კონკრეტული შედეგები ჩვენი მოქალაქეებისთვის. 2012 წლამდე მოგეხსენებათ, რომ არ არსებობდა საყოველთაო ჯანდაცვა და, ასე ვთქვათ, არსებობდა რაღაც პროგრამა, რითაც სარგებლობდა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 38 პროცენტი.**

ჩვენ 2012 წლიდან მოყოლებული განვავითარეთ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები. ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ამ მიმართულებით, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით განხორციელდა ეს რეფორმა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიხედვით პროგრამის დაწყებიდან უკვე 3 მილიონ მოქალაქეს დაუფინანსდა 11 მილიონზე მეტი სამედიცინო დახმარება, რაშიც ბოლო 11 წელიწადში 7 მილიარდი ლარი იქნა გადახდილი ბიუჯეტიდან, აი, ეს არის კონკრეტული შედეგი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე;

ასევე მინდა ვთქვა, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზარდა 2023 წელს და 2024-ში კიდევ უფრო გაიზრდება, შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ 2012 წელს „ჯიბიდან გადახდები“ მოქალაქეებს ჰქონდათ დაახლოებით 74 პროცენტამდე, 2022 წელს – 30 პროცენტამდე შემცირდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მას შემდეგ, რაც უკვე ავამოქმედეთ DRG მეთოდოლოგია, სამედიცინო სერვისებზე პაციენტის თანაგადახდა საშუალოდ 10%-ამდეა შემცირებული, 74 პროცენტიდან 10 პროცენტამდე არის შემცირებული ჩვენი მოქალაქეების „ჯიბიდან გადახდები“.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ რამდენიმე წლის წინ, როდესაც დავუნიშნეთ ყოველთვიური დახმარება სოციალურად დაუცველ ბავშვებს, 200-ლარიან დახმარებას იღებს 200 ათასზე მეტი ბავშვი.

მინდა ასევე ვთქვა, რომ ჩვენ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ კიდევ ბიუჯეტის ზრდას, როგორც კი გვექნება ამისი საშუალება.

მინდა ასევე შევეხო კიდევ ერთ მნიშვნელოვან რეფორმას, რომელიც განხორციელდა ბოლო 2 წელიწადში. ეს არის მედიკამენტების ხელმისაწვდომობა და მისი ფასების შემცირება. ჩვენ მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, უკვე დაწესდა რეფერენტული ფასები, რამაც თითქმის 400 მილიონ ლარამდე დაზოგა ჩვენი მოსახლეობის დანახარჯები, მოგეხსენებათ, რომ არ არსებობდა არც რეფერენტული ფასები, რიგ შემთხვევაში ფარმაცევტული კომპანიები 100, 200 და 300%-იანი მარჟებით ყიდდნენ მედიკამენტებს.

დღეს ეს ეპოქა დასრულებულია, ჩვენ მაქსიმალურად ვაკონტროლებთ ამ პროცესს. მას შემდეგ, რაც ამოქმედდა ეს რეფორმა, გაიხსნა თურქეთის ბაზარი; იყო არაერთი მცდელობა იმისა, რომ შეცდომაში შეეყვანათ ჩვენი მოქალაქეები, მაგრამ ჩვენ მყისიერი რეაგირება მოვახდინეთ და, მინდა ამის თაობაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, არცერთი ასეთი ფაქტი არ დარჩება რეაგირების გარეშე.

**მედიკამენტების ფასების რეგულირებისთვის გატარებული ღონისძიებები, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა დირექტორმა დაასახელა, როგორც მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის რეფორმის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ევროპის რეგიონში.**



მნიშვნელოვანი იყო, რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები, იგივე დიაბეტის მართვის მიმართულებით, C ჰეპატიტის მიმართულებით. მოგეხსენებათ, რომ განკურნებული არის 95% ჩვენი მოქალაქეებისა, ვისაც ჰქონდათ C ჰეპატიტი.

მნიშვნელოვანი იყო პენსიონერთა დახმარება. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და 2024 წელს მედიკამენტები იქნება უფასო იმ პენსიონერთათვის, რომელთაც აქვთ ქრონიკული დაავადებები, ასეთი არის დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ჩვენი მოქალაქე, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენს მიერ მედიკამენტების ფასების რეგულირებისთვის გატარებული ღონისძიებები, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა დირექტორმა დაასახელა, როგორც მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის რეფორმის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ევროპის რეგიონში.

რეგულირებამ მედიკამენტების 45%-ით ნაკლებ ფასად შეძენის საშუალება მისცა ჩვენს მოქალაქეებს.

მნიშვნელოვანი არის წამლის ხარისხის კონტროლი. ჩვენ წელს გავხსენით პირველი სახელმწიფო ლაბორატორია და კონტროლი მაქსიმალურად უნდა გამკაცრდეს ამ მიმართულებითაც, რომ ჩვენს მოქალაქეებს მხოლოდ ხარისხიანი მედიკამენტი მიეწოდოთ.

სამინისტრომ საზღვარგარეთ GMP სტანდარტით იმ უცხოური საწარმოების შემოწმებაც დაიწყო, რომელთა მედიკამენტებიც საქართველოში იმპორტით შემოდის. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, გაგრძელდება.

მნიშვნელოვანი იყო დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მიმართულებით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები. წელს 500-800 ლარიდან 1200 ლარამდე გაიზარდა ორსულთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, ასევე – მოქალაქეებს დეკრეტული შვებულების დროს 2000 ლარს გადაუხდის ბიუჯეტიდან სახელმწიფო.

* * *

**ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო რეანიმობილების დეფიციტი ქვეყანაში და სამინისტრომ წელს უკვე ამ მიმართულებით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები – ცენტრის ავტოპარკს დაემატა 23 ახალი რეანიმობილი, რაც განაწილდება მთელ ქვეყანაში და ამის პრობლემა აღარ იქნება ქვეყანაში. ასევე 105 სასწრაფო დახმარების მანქანა დაემატება მომავალი წლიდან, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს და ეფექტურს გახდის ცენტრის მუშაობას.**

მნიშვნელოვანი იყო და არის ჩვენი ექიმების, სამედიცინო პერსონალის ხელფასების ზრდა, 1 იანვრიდან გადაუდებელი დახმარების თანამშრომელთა ხელფასები გაიზარდა 10%-ით; პირველი ოქტომბრიდან სასწრაფო დახმარების პერსონალის ხელფასი კვლავ გაიზარდა 10%-ით; 1 იანვრიდან ცენტრის ყველა თანამშრომელი სარგებლობს გაუმჯობესებული სადაზღვევო პაკეტით.

მომდევნო წლიდან გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასის 10%-იანი ზრდა, 2024 წლიდან მინიმალური ხელფასები განესაზღვრებათ: უმცროს ექიმს, ექთნის თანაშემწეს, მეან-ექთანს და სანიტარს.

აქაც მინდა შედარებისთვის გითხრათ, 2012 წელს ექიმის ხელფასი იყო 450 ლარი, წელს – 2184 ლარი, ხოლო ექთნის ხელფასი იყო 300 ლარი და ახლა გახდა 1665 ლარი.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო სოციალური დაცვისა და გარანტიების მიმართულებით მთავრობის მიერ ჩვენი ბავშვების, ხანდაზმულების, დევნილებისა თუ ვეტერანების მიმართულებით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები.

უნდა აღვნიშნო, რომ 2024 წლიდან ვიწყებთ უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამას. 1000 უსახლკარო ოჯახის განსახლებისთვის სახელმწიფო 50 000 000 ლარს გამოყოფს. შედეგად, რეგიონებზე მაქვს საუბარი, არცერთი უსახლკარო ოჯახი აღარ იქნება ჩვენს ქვეყანაში. სულ რაღაც 2 წელიწადში ამ პროგრამას დავასრულებთ.

დევნილებზე მინდა მოგახსენოთ. აქაც საკმაოდ დიდი კონტრასტი გვაქვს – რა დაგვხვდა და რა არის დღეს?

დევნილთა ბიუჯეტი 2012 წელს იყო 25 მილიონი ლარი. წელს უკვე 267 000 000 ლარია, ანუ გაათმაგებულია თითქმის.

2012 წლამდე გადაეცა ბინები, ანუ განსახლდა 19 000-ამდე დევნილი ოჯახი, 2013 წლიდან დღემდე კი საცხოვრებელი ფართი გადაეცა 32 000-ამდე დევნილ ოჯახს.

ჯამურად მინდა ვთქვა, რომ წელს უკვე 549 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართები ახალაშენებულ კორპუსებში. ახლა მიმდინარეობს მასშტაბური პროექტი, რომელიც გულისხმობს თბილისში, ქუთაისში, ბორჯომში, ზუგდიდსა და რუსთავში საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობას და 2025 წლამდე 13 000 ოჯახს გადაეცემა ახლადაშენებულ კორპუსებში ბინები.

წელს დიდი ტრაგედია მოხდა შოვში, ასევე – ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მომხდარი სტიქიური უბედურების გამო დაზარალებული ოჯახების მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 მილიონი ლარი. ჯამში, თუ არ ვცდები 30 მილიონი ლარი დაიხარჯება იმისთვის, რომ არცერთი დაზარალებული ოჯახი არ დარჩეს სახლების გარეშე.

საპენსიო ფონდის თაობაზე მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ განახლებული, რომ 30 ნოემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდში აკუმულირებულია 4.2 მლრდ ლარი. წელს გაიზარდა ასაკობრივი პენსიები; მოსარგებლეა 830 ათასამდე პენსიონერი.

მომდევნო წლიდან პენსიები კვლავ გაიზრდება. 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთათვის 50 ლარით გაიზარდა პენსია და გახდა 415 ლარი, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში – 500 ლარამდე.

70 წლამდე პირთა პენსია იქნება 315 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში 380 ლარი.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)




# ეკონომიკურად რას ვიგებთ ევროკავშირთან თანამშრომლობით?!

**2024 წელს საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსით ხვდება.**

**● ამ სტატიაში განვიხილავთ ევროკავშირთან ეკონომიკურ ურთიერთობებს და ასევე ავხსნით:**

**● რამდენს ურიცხავენ ევროპაში დასაქმებული ქართველი ემიგრანტები ოჯახებს;**

**● რა წვლილი შეაქვთ ევროკავშირიდან ჩამოსულ ტურისტებს ქვეყნის ბიუჯეტში;**

**● რა შემოსავალს იღებს ქვეყანა ევროკავშირთან ვაჭრობით;**

**● პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირიდან.**

### რამდენს ურიცხავენ ქართველი ემიგრანტები ოჯახებს?!

**ევროკავშირიდან საქართველოში ყველაზე მეტი თანხა ფულადი გზავნილების სახით შემოდის. 2023 წლის 11 თვეში ევროკავშირის ქვეყნებიდან ქართველებმა თითქმის 1,2 მილიარდი დოლარი გადმორიცხეს.**

საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის ზრდასთან ერთად მატულობდა ევროკავშირიდან გადმორიცხული ფულიც და ამ პროცესს უვიზო მიმოსვლის ამოქმედებამაც შეუწყო ხელი. 2013-2021 წლებში ევროკავშირის წილი მთლიან ფულად გზავნილებში 26-დან 40%-მდე გაიზარდა.

გამონაკლისი 2022-2023 წლებია, როცა უკრაინის ომის გამო რუსეთიდან გადმორიცხვები ისტორიულად გაიზარდა, თუმცა მაისიდან რუსეთიდან გადმორიცხვა მნიშვნელოვანად მცირდება და ევროკავშირიდან გამოგზავნილი თანხა ისევ იწყებს ზრდას. ეროვნული ბანკის მონაცემებით, გაერთიანების წევრი ქვეყნებიდან ყველაზე მეტს იტალიიდან და საბერძნეთიდან რიცხავენ.

**„ახლა რასაც ვაკვირდებით, საქართველოს მოქალაქეები ძირითადად ისეთ ქვეყნებში მუშაობენ, სადაც ნაკლებად მკაცრია მიგრაციის პოლიტიკის აღსრულება, მაგალითად, საბერძნეთში, იტალიაში. ამ ქვეყნებში უკვე არსებობს დიასპორა და ემიგრანტებიც უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს“**, – ამბობს ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი დავით კეშელავა.

იხ. 8 გვ.

(პირველი გვერდიდან)

**1949 წელს აკაკი სურგულაძემ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1958 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1959 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშივე მიენიჭა პროფესორის წოდება და არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგედ.**

**1953-1956 და 1972-1976 წლებში აკაკი სურგულაძე ორჯერ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1974 წელს პროფესორი აკაკი სურგულაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.**

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა აკაკი სურგულაძემ ახალი და თანამედროვე ისტორიის კვლევას დაუკავშირა. მისი ინტერესების სფეროში მოექცა საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის ისტორიის კარდინალური პრობლემები, რომლებიც ქრონოლოგიურად XIX საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა.

პროფესორი აკაკი სურგულაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წარმატებით განაგრძო აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დაწყებული საქმე და თავისი მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, საზოგადოებრივი აზროვნების, სოციალური და პოლიტიკური განვითარების, თუ ქართული კულტურის ისტორიის შესწავლაში. პროფესორ აკაკი სურგულაძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია 231 პუბლიკაციას მოითვლის, რომელთა შორის ორ ათეულზე მეტი მონოგრაფიული გამოკვლევაა. მეცნიერის პირველი სქელტანიანი წიგნები იმ დროისათვის აქტუალურ პრობლემებს ეძღვნებოდა და არაერთ სიახლეს შეიცავდა.

აკაკი სურგულაძემ მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ისტორიის შესწავლას დაუთმო. მისი სამეცნიერო ინტერესები ქრონოლოგიურად მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ვიდრე მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდს მოიცავდა. სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო 1968 წელს გამოცემულმა მისმა მონოგრაფიამ „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“. ამ წიგნში დაძლეულია 1832 წლის შეთქმულების მანამდე გაბატონებული ცალმხრივი გაშუქების ტენდენცია და ეს შეთქმულება XIX ს. 30-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან ეტაპად არის მიჩნეული. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი შეთქმულთა იდეოლოგიის მემკვიდრედაა აღიარებული. მაღალი შეფასება მოიპოვა აკაკი სურგულაძის სოლიდურმა გამოკვლევამ „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (თბ., 1974), რომელიც აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიით აღინიშნა.

აკაკი სურგულაძემ თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქართული კულტურის ისტორიის კვლევასა და შესწავლას. ჯერ კიდევ 1968 წელს მან დაბეჭდა ნაშრომი „თბილისის უნივერსიტეტი და ქართული კულტურა“, 1980 წელს კი რუსულ ენაზე გამოიცა აკაკი სურგულაძის გამოკვლევა „XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პროფესორ აკაკი სურგულაძის „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევების“ პირველმა ტომმა (რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი), რომელიც 1989 წელს გამოქვეყნდა. ეს ფუნდამენტური წიგნი, რომელიც ქართული კულტურის ისტორიას მისი საწყისიდან XIX საუკუნემდე წარმოაჩენს, ქართული კულტურის ფენომენის მსოფლიო ცივილიზაციის ჭრილში გააზრების წარმატებული ცდაა. აკაკი სურგულაძემ ამ ნაშრომში ქართული კულტურის ისტორია განიხილა მის სისტემურ მთლიანობაში უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. წიგნში ქართული სულიერი ღირებულებანი წარმოჩენილია ისტორიული ცხოვრების ფონზე, კულტურის ცალკეული დარგების ურთიერთგამდიდრების ვითარებაში.

**მეცნიერის ამ სოლიდური გამოკვლევით ქართულ სინამდვილეში სათავე დაედო ცალკე საისტორიო დისციპლინის – კულტუროლოგიის ჩამოყალიბებას. სწორედ აკაკი სურგულაძის დიდი ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ქართული კულტურის ისტორიის სამეცნიერო ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც შემდგომში სათანადო კათედრაც დაფუძნდა. პროფესორ აკაკი სურგულაძის წვლილი ქართული კულტურის ისტორიის შესწავლაში აღიარებულია დასავლეთის სამეცნიერო წრეებშიც. ქართველი ისტორიკოსი „იუნესკომ“ ჩართო მასშტაბურ პროექტში, რომლის ფარგლებშიც ინგლისურ ენაზე გამოიცა „კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიის“ მრავალტომეული.**

აკაკი სურგულაძემ დიდი ღვაწლი დასდო ეროვნული ინტელიგენციის ფენომენის კვლევას, რისი დასტურიცაა წიგნები: „ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“ (თბ., 1980) და „ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის სამ რევოლუციაში“ (თბ., 1986). ამ მონოგრაფიებში ქართველი ინტელიგენცია განხილულია, როგორც ეროვნული კულტურის მთავარი შემოქმედი და გაშუქებულია მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

აკაკი სურგულაძე ქართველ ისტორიკოსთაგან ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ერის რაობისა და წარმოქმნის პრობლემებზე 1958-1962 წლებში საბჭოთა კავშირში გაჩაღებულ დისკუსიას. ამ საკითხს მიეძღვნა მისი წიგნი: ,,ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ“. (1970). მასში ავტორმა კრიტიკულად განიხილა ერის მანამდე მიღებული განმარტება და მოგვცა მისი დაზუსტებული დეფინიცია. მეცნიერმა ერის ცნებაში სახელმწიფოებრიობის ნიშანიც შეიტანა.

სტუდენტ-ისტორიკოსთა თაობები აღიზარდნენ პროფესორ აკაკი სურგულაძის ისეთ სახელმძღვანელოებზე, როგორებიცაა: „რუსეთი XIX საუკუნის 60-80-იან წლებში“, „რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში“ და ,,რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში. 1895-1917 წწ“. ეს სამი წიგნი, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრემიით აღინიშნა, ძირეულ წარმოდგენას გვიქმნის 1800-1917 წლების პერიოდის რუსეთის სახელმწიფოს დამპყრობლური ბუნების შესახებ, შესაბამისად მასში სტუდენტებისთვის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზეც არის მოთხრობილი.



# ქართული საისტორიო სკოლის სახელოვანი წარმომადგენელი

## აკაკი სურგულაძის დაბადებიდან 110 წლისთავი

**საგულისხმოა მეცნიერის გამოკვლევები, რომლებშიც გაშუქებულია ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი.**

აღსანიშნავია აკაკი სურგულაძის კვლევები ილიასმცოდნეობაში და ამ მიმართებით გამოქვეყნებული მისი პუბლიკაციები. 1987 წელს შესრულდა 150 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. საიუბილეო თარიღი საქართველოში მასშტაბურად აღინიშნა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი მწერალი, მოღვაწე და მოაზროვნე წმინდანად შერაცხა. მაშინ, საბჭოთა სინამდვილეში, ეს ერისკაცის კანონიზაციის პირველი ფაქტი იყო. საზოგადოებამ ეკლესიის გადაწყვეტილება კმაყოფილებით და მოწონებით აღიქვა. ერის დიდი მოძღვრის საიუბილეოდ, რუსულ ენაზე გამოიცა აკაკი სურგულაძის წიგნი „ილია ჭავჭავაძე: ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე“. ამ ნაშრომში ილია ჭავჭავაძის მხატვრული თუ პუბლიცისტური მემკვიდრეობა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ჭრილშია განხილული და ილია, სრულიად სამართლიანად, ამ მოძრაობის შეუცვლელ წინამძღოლადაა დასახელებული. მის ყველა სამეცნიერო პუბლიკაციაში მკვლევარი ხაზს უსვამდა, რომ ილია ჭავჭავაძე იყო დიდი ეროვნული მოღვაწე და სწორედ ამიტომაც იყო რომ ქართველმა ხალხმა, იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ უპირობოდ აღიარა.

პროფესორმა აკაკი სურგულაძემ 1977 წელს ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის შესწავლა-წარმოჩენას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასტამბულ ამ ნაშრომში ექვთიმეს ცხოვრების უწყვეტი ქრონიკაა გადმოცემული, გაშუქებულია დიდი ერისკაცისა და დღეს წმინდანის ცხოვრება-მოღვაწეობის ურთულესი ეკლიანი გზა, რომელიც ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის ფონზეა გაშლილი. ეს გახლდათ იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე სრული ნარატივი ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიის, მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ. როდესაც ამ წიგნს კითხულობთ, გრძნობთ რამხელა სიყვარულით, პატივისცემით, აღტაცებით, რიდითა და ერთგულებით არის დაწერილი ამ ბუმბერაზი კაცის და მის მიერ გაკეთებული დიდი ქართული საქმეების მიმართ. რამდენიმე ათეული წლის წინ გამოქვეყნებული და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ეს წიგნი, დღესაც ინარჩუნებს მკითხველთა დიდ ინტერესს.

ბატონი აკაკის მეცნიერულ მოღვაწეობაში მის შთაგონების წყაროს ყოველთვის წარმოადგენდა დიდი ივანე ჯავახიშვილი. აღსანიშნავია აკაკი სურგულაძის სიტყვა ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში 1953 წელს. ცნობილია, რომ, ისტორიის ფაკულტეტის მაშინდელი დეკანის გამოსვლას დამსწრე საზოგადოებაზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია. თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება და პატივისცემა ივანე ჯავახიშვილისადმი ბატონმა აკაკიმ, ამჯერად უკვე ისტორიის ფაკულტეტის დეკანად მეორე ვადით ყოფნისას, სრულად გამოხატა მის მიერ გამოცემულ ნარკვევში „ივანე ჯავახიშვილი“, რომელიც 1976 წელს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი მეცნიერის საიუბილეოდ გამოსცა.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ 1986 წელს აკაკი სურგულაძემ თავისი მასწავლებლებისა და მეგობრების ხსოვნას მიუძღვნა წიგნი „არ დავიწყება მოყვრისა“. იგი ახალი სათაურით – ,,მარადსახსოვარი“ 2013 წელს, სწავლულის 100 წლისთავის საიუბილეოდ ხელმეორედ იქნა გამოცემული. დიდი სიყვარულით, გულისხმიერებით და სითბოთი გამსჭვალულ ამ წიგნში ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, მიხეილ პოლიევქტოვის, შალვა ამირანაშვილის, შოთა მესხიას, დავით გვრიტიშვილის, გივი კიღურაძის, ირაკლი ანთელავას და სხვ. ქართველ ისტორიკოსთა შემოქმედებითი პორტრეტებია შექმნილი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აკაკი სურგულაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს ახლო წარსულისადმი კომუნისტური მიდგომა გადააფასა და პაატა სურგულაძის თანაავტორობით 1991 წელს გამოსცა ნაშრომი „საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი. 1783-1990“. ნაშრომმა, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა, წლების განმავლობაში ჩვენს საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დამხმარე სახელმძღვანელოს როლიც შეასრულა.

აკაკი სურგულაძის წიგნებს ავტორის უზადო ქართული და დახვეწილი სტილი, მოვლენათა მასშტაბური გააზრება, მასალის სიღრმეში წვდომა, საფუძვლიანი ანალიზი, განხილვა და განზოგადება გამოარჩევს. ამასთან, მეცნიერი გამორჩეული იყო ორატორული მონაცემებითაც, რაც თავის მხრივ მისი ლექციებისა თუ სემინარების მიმზიდველობას განაპირობებდა.

აკაკი სურგულაძის პიროვნებას სამაგალითოდ წარმოაჩენს მისი ღირსეული მოქალაქეობრივი პოზიცია საქართველოსთვის კრიზისულ ვითარებებში.

1956 წლის მარტის ტრაგიკული მოვლენების დროს დოცენტი აკაკი სურგულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. 9 მარტის ხალხმრავალი მანიფესტაციის სისხლში ჩახშობის შემდეგ, უშიშროების ორგანოებმა ათეულობით სტუდენტი დააპატიმრეს და უმაღლესი სასწავლებლების მესვეურთაგან მათი დახასიათებები მოითხოვეს. უარყოფითი დახასიათების შემთხვევაში ციხის იზოლატორში გამომწყვდეულ ახალგაზრდებს, როგორც ბრალი ისე სასჯელი გაუმკაცრდებოდათ. ბატონი აკაკი რომ იტყვიან პირდაპირ გადაეფარა თავის სტუდენტებს და არც ერთი მათგანისათვის რეჟიმის თვალში დანაშაულის დამამძიმებელი დახასიათება არ მიუცია. ამისათვის თვითონ კი შევიწროება განიცადა, მაგრამ სხვები რეპრესიებისაგან იხსნა და ისტორიის წინაშე პირნათელი დარჩა.

9 მარტის ტრაგედიის გამო მოსალოდნელი იყო, რომ საზოგადოებაში დეპრესიასა და პესიმისტურ განწყობას ემძლავრა. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო რაიმე მოემოქმედათ და ხალხი სულიერად გაემხნევებინათ. ცნობილ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა წინადადებით, რომელთა შორის ბატონი აკაკი სურგულაძეც იყო, 1958 წლის შემოდგომაზე დიდი ზეიმით აღინიშნა თბილისის დაარსების 1500 წლისთავი. ეს პატრიოტული დღესასწაული, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი საქართველოში დაიგეგმა და კრემლისაგან ნებადაურთველად მოეწყო. საკუთარი დედაქალაქის იუბილის ,,დამოუკიდებლად“ აღნიშვნით ქართველობა თავისებურ პროტესტს გამოხატავდა ცენტრის ძალადობისა და დიდმპყრობელობის წინააღმდეგ.

**კომუნისტური რეჟიმის ბოლო წლებში, როდესაც საქართველოს ხელისუფლებასა და ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ნაწილს შორის კონფრონტაცია საეჭვოდ გაღრმავდა, აკაკი სურგულაძემ ამ მოვლენაში სამოქალაქო ომის საფრთხე დაინახა, მაღალი ტრიბუნიდან გაბედულად ამხილა იგი და მხარეებს კეთილგონიერებისაკენ მოუწოდა. მეცნიერის წინასწარჭვრეტა სამწუხაროდ გამართლდა.**

ფართო სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად აკაკი სურგულაძე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ ორგანიზაციის თბილისის განყოფილების თავმჯდომარე, საზოგადოება „ცოდნის“ ისტორიულ-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი აკაკი სურგულაძე ამ ქვეყნიდან სრულიად ვალმოხდილი და ისტორიის წინაშე პირნათელი წავიდა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;**

**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება.**

# ედიშერ გვენეტაძე: თაღლითობის მუხლით უნდა აღიძრას საქმე სააკაშვილის ექიმების წინააღმდეგ!

(მესამე გვერდიდან)

**უკრაინულ ენაზე აკეთებდა განცხადებებს, ანუ ლაპარაკობს გარემოებებზე, რომელიც არანაირ კავშირში არ არის განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან, რისი უფლებაც მას არ აქვს და ასეთ დროს მოსამართლე მას უნდა აჩერებდეს. სააკაშვილის ეს წინასაარჩევნო აგიტაციია პირდაპირ ეთერებში გადაიცემა, მათ შორის, სააკაშვილისვე დარბეული ტელეკომპანია „იმედის“ საშუალებით“,** – აცხადებს **მიხეილ დაუშვილი.**

როგორც ჩანს, ხელისუფლება არ ჩქარობს პატიმრის ციხეში გადაყვანას. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, **არჩილ თალაკვაძე** აცხადებს, რომ მსჯავრდებულთა გადაყვანაზე გადაწყვეტილებას არა პოლიტიკოსები, არამედ მართლმსაჯულების სტრუქტურები იღებენ. როგორც თალაკვაძე აცხადებს, ოპოზიცია ცდილობს, პარტნიორებს შეუქმნან განცდა, თითქოს პატიმრების გადაყვანა არის პოლიტიკური განხილვის საგანი.

**„ასეთი განცხადებები შემთხვევითი არ არის. ოპოზიცია ცდილობს, უცხოელ პარტნიორებს განცდა შეუქმნან, თითქოს საქართველოში პატიმრების ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა არის პოლიტიკური განხილვის საგანი და ასეთი გადაწყვეტილებების მიღება მოწოდებების დონეზე ხდება, რაც ზიანს აყენებს ქვეყანას და ასეთი განცხადებების მიზანიც ეს არის“,** – განაცხადა **არჩილ თალაკვაძემ.**

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, დედაქალაქის მერი **კახა კალაძე** აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო დიეტაზე, შესანიშნავ ფორმაშია, კარგად გამოიყურება და ალბათ, შესაბამისი უწყება მიიღებს გადაწყვეტილებას.

**„მიხეილ სააკაშვილს ჯანმრთელობის პრობლემები არასდროს ჰქონია. უბრალოდ, ის კამპანიას აწარმოებდა ქვეყნის წინააღმდეგ, თითქოს მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. თუკი რაიმე დაავადება არსებობს მსოფლიოში, ყველა ამ ადამიანს სჭირდა თითქოს. ასე საუბრობდნენ და ამბობდნენ მისი მხარდამჭერები და ოჯახის წევრები. რეალურად, სააკაშვილი იყო დიეტაზე. შესანიშნავ ფორმაშია, კარგად გამოიყურება. ალბათ, შესაბამისი უწყება მიიღებს გადაწყვეტილებას“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

სააკაშვილის ციხეში გადაყვანის მოთხოვნას მავნებლურს უწოდებს „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრი **რომან გოცირიძე** და



**თაღლითობის მუხლით აღძრული უნდა იქნას სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის ექიმების წინააღმდეგ, რომლებმაც გასცეს ყალბი ცნობა. ესენიც ხომ ისეთივე დამნაშავეები არიან. ასეთი ყალბი ცნობებით ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და დისიდენტებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აგზავნიდნენ. რა განსხვავებაა მათ შორის? ისინიც სიყალბეს აწერდნენ ხელს და ყალბ ცნობებს იძლეოდნენ, როგორც ესენი.**

მიაჩნია, რომ ეს არის ძალიან მდარე საარჩევნო პროპაგანდა.

„გირჩის“ დეპუტატი **იაგო ხვიჩია** კი თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილისნაირი კაცი ციხეში კარგად ვერ იქნება.

**„ჩემი საქმე არ არის მოვითხოვო მიხეილ სააკაშვილის ციხეში გადაყვანა. მგონია, რომ ჩვენი, პოლიტიკოსების საქმე არ არის პატიმრის ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანა, მაგრამ აზრის გამოთქმას ხომ არ დაუშლი გიორგი გახარიას?**

პოლიტიკოსებისგან განსხვავებით ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ერთ-ერთია, რომელიც თვეების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვს სააკაშვილის ციხეში გადაყვანას. რაც შეეხება გიორგი გახარიას პარტიის მოთხოვნას, ანალიტიკოსს ეჭვი ეპარება მათ გულწრფელობაში და აცხადებს, რომ გასაკვირია, როცა გახარიას პარტიაში ითხოვენ სააკაშვილის ციხეში გადაყვანას, მაშინ როდესაც ამ პარტიის ლიდერმა უარი თქვა მელიას დაკავებაზე.

**„როგორ წარმოგიდგენიათ, კაცმა მელია არ დაიჭირა და ახლა გაიძახის სააკაშვილი ციხეში გადაიყვანეთო, რა უნდა? – მისი პარტია ძალიან მძიმე დღეშია, კრიზისი უდგას და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად აკეთებს ამ განცხადებას. სააკაშვილი რომ ციხეში იყოს, იტყვიან გაათავისუფლეთო. აი, ასეთი არის გახარიას პარტია. გახარიას შეეძლო მისი შინაგანი ენერგია ჩაედო იმ პროცესში, რომელსაც საქართველოს შემდგომი წინსვლა ჰქვია, მაგრამ ეს არ გააკეთა. ეს ის პიროვნებაა, რომელიც გამოვა, დააბრეხვებს რაღაცას და შემდეგ შეძვრება ჩირგვებში. ცდილობს აიმაღლოს პოლიტიკური დივიდენდები და ამიტომ გააკეთა ეს განცხადება. თუმცა, გახარიასგან გასაკვირია ეს განცხადება, როცა თავად „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა თქვეს – გახარიას პარტიასთან ჩვენ ვთანამშრომლობთო. ასე რომ, მეფე შიშველია, ყველამ ყველაფერი იცის. ქართველი კაცი არის ბრძენი და მისი მოტყუება ყოვლად წარმოუდგენელია“,** – აცხადებს **გვენეტაძე.**

ანალიტიკოსი მოითხოვს, რომ სააკაშვილი დაუყოვნებლივ გადაყვანილი იქნას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ასევე, სისხლის სამართლის საქმე იქნას აღძრული იმ ექიმების წინააღმდეგ, რომლებმაც ყალბი ცნობები გასცეს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

**„სააკაშვილი არის დამნაშავე, უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და მისი დაპატიმრების დღიდან ვლაპარაკობ, რომ ის უნდა იყოს ციხეში, ვინაიდან ეს არის პოლიტიკური შარლატანი. სად ბრძანდება ლომჯარია, რომელმაც შექმნა კომისია და ამ კომისიის მეშვეობით ლაპარაკობდნენ, რომ ეს გამოდემენცებულიაო. სად არის ნიკოლოზ ყიფშიძე, რომელიც ამტკიცებდა, რომ კვდება, საათები აქვს დარჩენილიო? სად არის მარიამ ჯიშკარიანი, რომელიც იძახდა გიჟია, გააფრინა, აღარ არის თავის ჭკუაზეო? ამიტომ, თაღლითობის მუხლით აღძრული უნდა იქნას სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის ექიმების წინააღმდეგ, რომლებმაც გასცეს ყალბი ცნობა. ესენიც ხომ ისეთივე დამნაშავეები არიან.**

**ასეთი ყალბი ცნობებით ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და დისიდენტებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აგზავნიდნენ. მითხარით, რა განსხვავებაა მათ შორის? ისინიც სიყალბეს აწერდნენ ხელს და ყალბ ცნობებს იძლეოდნენ, როგორც ესენი. იმ საბჭოთა ჯალათ ფსიქიატრებსა და სააკაშვილის ექიმებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. მათ სამოქალაქო დანაშაული აქვთ ჩადენილი საქართველოს მოსახლეობის წინაშე, ვინაიდან ესენი არიან ექიმი შარლატანები, რომლებიც ამას აკეთებდნენ მიზანმიმართულად და რომლებსაც მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი შეჰყავდათ შეცდომაში.**

**ამიტომ, სააკაშვილის ადგილი არის იქ, სადაც თავად ტანჯავდა ადამიანებს, მაგრამ განსხვავდება იმ პიროვნებისგან, რომელიც მას ჰქონდა შექმნილი. როგორც ერთ-ერთი რიგითი ქართველი, მოვითხოვ, რომ ამ ადამიანმა სასჯელი მოიხადოს ციხეში. უნდა შევახსენო ხელისუფლებას, რომ მას მოსამართლემ არ უნდა მისცეს უფლება პოლიტიკური განცხადებები აკეთოს სასამართლოზე და მერე წავიდეს. მან უნდა ისაუბრობს იმ ბრალდებაზე, რაც მას აქვს წარდგენილი. ეს შარლატანი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არ აქვს უფლება საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **ედიშერ გვენეტაძე.**

**თამთა ქარჩავა**



## სოზარ სუბარი: ცეცხლთან სიფრთხილე გვმართებს!

**...საფრთხეს ყოველთვის უნდა ველოდოთ. ძალიან ემოციური ხალხი ვართ და ძალიან პატარა ქვეყანა გვაქვს, სადაც ადვილია არეულობის მოწყობა. ერთი შეცდომა, პროვოკაცია შეიძლება გახდეს სიტუაციის არევის საფუძველი. ცოტა სხვა ვითარებაა, მაგრამ ამერიკის მაგალითს მოვიყვან – ქვეყანა, სადაც თვე არ გავა პოლიციის მხრიდან რამდენიმე ათეული ადამიანის ლიკვიდაცია არ მოხდეს და ეს ჩვეულებრივ ამბად ითვლება, ისევე, როგორც ძალადობა პატიმრების მიმართ ციხეებში, განსხვავებით ევროპული ქვეყნებისგან, მაგრამ მოხდა ცოტა ხნის წინ ფლოიდის მკვლელობა და დაიქცა ქვეყანა. ამ ერთმა შემთხვევამ ლამის, გახვია ქვეყანა ცეცხლის ალში. გასაგებია, რომ იქ ეს პოლიტიკური ბრძოლის ნაწილი იყო, რადგან რამდენიმე მილიონით მოხდა ამ მოძრაობის დაფინანსება, დესტაბილიზაციას ხშირად მხარს უჭერდნენ ზოგიერთი შტატების გუბერნატორები და ქალაქების მერები. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ერთი შემთხვევა თუ შეიძლება გახდეს ცეცხლის დანთების ტოლფასი, ბუნებრივია, სიფრთხილე გვმართებს. ესაა მთავარი საფრთხე და არა ოპოზიცია, რომელსაც არც იდეა აქვს, არც ადმინისტრაციული რესურსი, გამოცლილი აქვს ძალა და ერთმანეთს ფლეთენ, ლანძღავენ და ამ ლანძღვაში ღმერთმა ხელი მოუმართოთ...**

## „სასარგებლო იდიოტები“- ევროპარლამენტში

**„კატარგეიტის“ „სასარგებლო იდიოტები“ კვლავ მუშაობენ ევროპარლამენტში“** – ამ სათაურით სტატიას გამოცემა Politico აქვეყნებს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ „კატარგეიტის“ საქმის მასალების თანახმად, 6 ევროპარლამენტარი და 1 ოფიციალური პირი, ნებსით თუ უნებლიედ, გავლენის ქსელის ნაწილს წარმოადგენდა. კერძოდ, გამოძიების ვერსიით, ისინი იღებდნენ ფულს ან საჩუქრებს კატარის და სხვა ქვეყნების მთავრობებისგან, სანაცვლოდ კი ევროკავშირის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას ჰპირდებოდნენ.

Politico-ს ცნობით, ეს 7 ადამიანი ახლაც ევროპარლამენტში მუშაობს. მათ ბრალი არ აქვთ წარდგენილი, თუმცა მათი სახელები ბელგიის პოლიციას მთავარმა ეჭვმიტანილებმა – ყოფილმა ევროდეპუტატმა **პიერ ანტონიო პანცერიმ** და მისმა ყოფილმა ასისტენტმა, **ფრანჩესკო ჯიორჯიმ** გაუმხილეს. Politico-მ გადაწყვიტა, სტატიაში მათი ვინაობა არ გაამხილოს, თუმცა გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ ევროპარლამენტარს 2019 წელს საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად უცხო ქვეყნის ოფიციალური პირისგან 250 000 ევრო უნდა მიეღო.

პანცერისა და ჯიორჯის მტკიცებით, კიდევ ერთ ევროპარლამენტარს ძვირადღირებული საათი აჩუქეს, ევროკავშირის ერთმა საჯარო მოხელემ კი ნაღდი ფულის სახით 20 000 ევრო მიიღო.

**„პიერ ანტონიო პანცერის ქსელში ორი ტიპის აქტორები იყვნენ: ვინც იცოდა კორუფციის შესახებ და ვინც თავს ვალდებულად თვლიდა, – განუცხადა გამოძიებას ფრანჩესკო ჯიორჯიმ, – მათი უმეტესობა პანცერის თვალში „სასარგებლო იდიოტები“ იყვნენ, რომლებმაც არ იცოდნენ, თუ რა სისტემა ჰქონდა მას აწყობილი“.**

„კატარგეიტის“ საქმის ფარგლებში პანცერისა და ჯიორჯისთან ერთად ბრალი წარდგენილი აქვს სამ ევროპარლამენტარს – **ევა კაილის**, **მარკ ტარაბელას** და **ანდრეა კოცოლინოს**. არც ერთი მათგანი ბრალს არ აღიარებს და ევროპარლამენტის საქმიანობაში ჩვეულებრივად მონაწილეობს.

პოეტის ახალი ლექსი

# ...„რომ სამშობლო თვით სიკვდილზე მეტია“



## მანანა ჩიტიშვილი

მოგესალმებით ბატონო რედაქტორო!

ჩვენი ოჯახი მოგიკითხავთ დიდი სითბოთი და სიყვარულით. დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, ბედნიერება მოეტანოს თქვენთვის და თქვენი რედაქციისთვის. ეს ლექსი ამ დღეებში დავასრულე, არსად არ დაბეჭდილა და თქვენი გაზეთი შევარჩიე, როგორც ყველაზე კითხვადი გაზეთი. ვფიქრობ, ეს ლექსი ცუდი არ გამოვიდა. თუ ინებებთ, საახალწლო საკითხავად შეგიძლიათ გამოიყენოთ. წინასწარ დიდ მადლობას გიხდით.

პატივისცემით, მანანა ჩიტიშვილი.

## ანატორი

ანა ოჩიაურს, არმაზ წიკლაურს

მთები, მთები, მწიფობის მზით დანატორი,
ლურჯი ცა და კლდის ნაშალი ქვიშანი...
არღუნის პირს გლოვისფერი ანატორი,
ვით სიკვდილზე გამარჯვების ნიშანი.

ტკივილის და სიამაყის რა წამია,
დაასრულებს ფიქრი ცაში ხეტიალს...
ეს დამდნარი ძვლები დღესაც გვასწავლიან,
რომ სამშობლო თვით სიკვდილზე მეტია.

აქ დრო-ჟამიც სიფრთხილით და კრძალვით დადის,
დარდი ჩემი როგორ ამოთავთავდა...
ჩვილის აკვანს დამხობია დედის ლანდი,
რძე გაუშრა, თუ ყრმა უწინ გათავდა.

ის წარსული ყოველ ბიჯზე გვეფეთება
და სულს სხვაგვარ სიმაღლისკენ აქეზებს...
რძე არის, თუ ცხელი ცრემლი ეწვეთება
ჩვილის უკვე გაციებულ ბაგეზე.

ლოდებს შორის ამოსულა მზე სულეთის,
უკვდავება დასდგომია თავდებად...
ანატორით არ იწყება ხევსურეთი,
არც იწყება და არც ამით თავდება.

ამ მთებს შორის საქართველომ იწარსულა
და მზის შუბით ბნელეთის ცა ახია...
ყველა კოშკში, ქორივით რომ ცად წასულა,
მითები და ლეგენდები მარხია.

დიდმა ჭირმა ყველას სულთქმა შეაერთა,
ან ვის უკვირს დრონი საავდარონი...
და არღუნი იქცა თურმე მერე ლეთად,
ოღონდ არვის არ სჭიროდა ქარონი.

ერდო-ბანი ჩანდა დაცლილ — დანავსული,
არც ქალწულნი იმძიმებდნენ ხელს სურით,
ყვავილების საკრეფადაც არ გასულა
სოფლის გარეთ უმრწემესი ხევსური.
ოდითგანვე ზეცა აქ სხვა მადლსა ჰფენდა,
სამტროდ მოსულთ ხანჯლის წვერი ითვლიდა...
აკლდამებში მოკვდავებად შევიდნენ და
უკვდავებად გამოვიდნენ იქიდან.

მზე იყო, თუ მოდიოდა კუპრის წვიმა,
თუ გზად ქარი გადარბოდა კინკილით,
თვით მოვიდნენ, რომ სიცოცხლეს ეზეიმა
და მღვიმეში გამოკეტეს სიკვდილი.

ღმერთო, ამდენ სასწაულით სული გმინავს
და არღუნი ყრუ ქვითინით ხმაურობს, —
რომ ქალ-ვაჟმა აკლდამაში იქორწინა
და მზეს გაჰყვა ცაში სამოგზაუროდ.

დროის ნამგლით არც ყოველი იცელება,
ხსოვნა არცროს არ ყოფილა მარტივი...
ქარი კივის, თუ სანათა იცრემლება,
ან ალაზა ზვიადაურს დასტირის.

ღამის ბინდი შატილის მთებს შავად თალხავს,
ბილიკები — ვით შეხსნილი ნასკვი...
სიკვდილის წინ თვალი მაინც დაინახავს
გაღმა სოფლად მოყვავილე ასკილს.

14.12.2023



# უშენოდ დღე რომ გათავდება, ჩემი მზე ჩაქრება იქვე...



## ემზარ კვიტაიშვილის ძალზე გამორჩეულ პოეზიაზე მცირე მინიშნება...

**დიდებული ფილოსოფოსი სიორენ კირკეგორი თავის სახელგანთქმულ წიგნში „ან-ან“ პოეტზე ასე მსჯელობს:**

„რას წარმოადგენს პოეტი? – უბედურ ადამიანს, რომელიც გულში ღრმა ტანჯვას იმარხავს, მაგრამ რომლის ბაგე ისეა გაფითრებული, რომ როდესაც მისგან ოხვრა და ვაება გადმოიფრქვევა, ის ჟღერს, როგორც უმშვენიერესი მუსიკა“ (Soeren Kierkegaard, Entweder-Oder, Muenchen 1996, გვ.27).

ყოველ დიდ პოეტში უსაზომო მელანქოლია სუფევს.

**ემზარ კვიტაიშვილი:**

**„არად მოჩანს ამ ღრუბლების სისქე,**
**ხეტიალში ბევრი გაიცრიცა;**
**ვინც ხშირ-ხშირად იყურება ცისკენ,**
**მას ყველაზე მეტად უყვარს მიწა.**

**გადმომედო ყვავილების სუნთქვა,**
**ცივი ქარის არც ვიხსენებ სისინს;**
**სიყვარულზე ვისაც მცირე უთქვამს,**
**უსაზღვროა სიყვარული მისი.**

**ბრაზმა იცის, გული გადავრაზე,**
**დაღლილ ფოთლებს აშრიალებს შარა;**
**მეჩვენება, რომ გათელილ გზაზე**
**შეღამების შიშმა ამაჩქარა“.**

„გულგადარაზულ“ პოეტს ძალუმად გამსჭვალავს სევდა და ყოველივეს წარმავლობის ვარამი:

**„ვინც კი იშვა, აყირავებს გზათა გასაყარი,**
**შეწუხდებით, ისე ცოტა რჩება გასახარი.**
**ვერ შევძელი, ყველა სახე გულში დამეტია,**
**განშორება საშინელი, უფრო, ამითია“.**

მაგრამ პოეტის წარმართულ სურვილს, რომ „მწუხარება სიკვდილთან ერთად უნდა დამთავრდეს“, დიდად უპირისპირდება მასში ჩაბუდებული უკიდეგანო სიყვარული, რომელსაც დროისმიერი ჩარჩოები არ გააჩნია.

გერმანელი ფილოსოფოსი მაქს შელერი ამბობს, რომ ღირებულებები უფრო მაღალ საფეხურს იმკვიდრებენ, რამდენადაც ისინი უფრო ხანგრძლივნი არიან. რასაკვირველია, ამით არ იგულისხმება ღირებულებების დროითი ხანგრძლივობა, რადგანაც ასე ისინი შემთხვევითობაზე არიან დამოკიდებულნი, არამედ ის ფაქტი, რომ გარკვეული ღირებულებები ფენომენალურადაც, „ხანგრძლივურად“ არიან მოცემულნი. ასე მაგალითად, სიყვარული შეიცავს ხანგრძლივობას. არავითარი აზრი არ აქვს იმას, თუ ვიტყვით: შენ ახლა მიყვარხარ! მაშინ, როდესაც ამას აზრი აქვს, თუკი ვამბობთ: მსურს, ახლა ვაშლი ვჭამო! (Max Scheler, Wesen und Formen der Sympathie, Bonn1923).

ჩვენ დავამატებდით: ფენომენალურად მოცემული „ხანგრძლივობა“, ჩვენი პოეტის შემთხვევაში, მიღმურ „გახანგრძლივებასაც“ ითხოვს. მოვუსმინოთ ემზარ კვიტაიშვილს:

**„ვარამმა მკერდი ამოღობა,**
**ჩხრიალი გაუდის ქვიშნარს;**
**გულიდან შენი ამოღება,**
**გულის ამოღებას ნიშნავს.**
**...**
**უფალო, არ ღირს გადადება,**
**ტანჯვას საუკუნის, მიგვე...**
**უშენოდ დღე რომ გათავდება,**
**ჩემი მზეც ჩაქრება იქვე“.**



**ვიქტორ რცხილაძე**

# ქართული წალკოტების აღმშენებელს

2017 წელს ქართველ მოჭიდავეთა ერთ-ერთი შეკრება კაჭრეთში გაიმართა. მართალი გითხრათ, გამიკვირდა — მეტი ვერაფერი ადგილი შეარჩიეს-მეთქი?

ორგზის მსოფლიო ჩემპიონთან, სახელგანთქმულ გურამ საღარაძესთან ერთად გავემგზავრე კახეთისკენ. მთელ ქვეყნიერებაზე და ჩვენს სამშობლოში აწეწილ-დაწეწილი ყოფისაგან გულდამძიმებული, ფიქრებს აყოლილი, ვერ ვიყავი კარგ ხასიათზე, მაგრამ კაჭრეთში ჩასულმა მოულოდნელად ის განვიცადე, რასაც სიბნელემისჯილი ადამიანი მაცოცხლებელი მზის დანახვისას...

ძვირფასო მკითხველო! დანარჩენს, მაშინდელი შთაბეჭდილების გამო დაწერილი ჩემი ერთი პატარა ლექსიდან შეიტყობთ, რომელიც უმშვენიერესი წალკოტების აღმშენებელ, ჭეშმარიტ მამულიშვილს ბუბა ქებურიას ვუძღვენი.

## გაუგზავნელი ბარათი

### ვუძღვნი ბუბა ქებურიას

კაჭრეთს ვიყავი — ვნახე სამოთხე,
არ მავიწყდება იგი ამ დრომდე?
— ვინ გააშენა? — კახელ კაცს ვკითხე
ბუბა ქებურია გაგიგონია? —
— გამცა პასუხი ღიმილით იქვე!
... სათხოვარი მაქვს ბუბასთან ერთი,
სხვა არაფერი, მადლაა ღმერთი!
როცა დაივლის თბილისის უბნებს,
იქნებ ესტუმროს
ჩემს სახლს და კუთხეს...
,,ნამალადევში“
ჩემ გორაკიდან ქალაქი მოჩანს,
უჰ, რა დრო იყო,
აქ ვმასპინძლობდი ჩემს მეგობრებს —
ზვიადს და მუხრანს!
ძველ ტალავერში ვაწყობდი სუფრას,
სად უფრო ადრე,
საქართველოს დიდი თამადა —
სიმონიკა სხირტლამე ჭქუხდა!
და რადგან ბუბა ბრმანდება კოლხი!
პატივს მიაგებს მარტვილს და ჭყონდიდს!
სხვა დანარჩენი მშვენივრად ვუწყი,
ამ სტრიქონებს მას რატომაც ვუძღვნი!
კაჭრეთს ვიყავი — ვნახე სამოთხე! —
არ მავიწყდება იგი ამ დრომდე...

2017 წ. თბილისი

..რამაც ამ ცხოვრებაში დამამწუხრა და შემდგომ კაჭრეთში კი უსაზღვროდ გამახარა, გადმოცემულია ჩემს ვრცელ მოთხრობაში „რა მიაქვთ დედამიწიდან – ანუ დაკაწრული სიყვარული და ნობელის პრემია“, სადაც, ჩუქურთმიან ქვად ჩაშენებულია ზემოთხსენებული ლექსი.

ბატონ ბუბას ვულოცავ ახალ წელს და ვუდღეგრძელებ მშობლებს ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდისათვის!



**ჯემალ დავლიანიძე,**
**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ხელისუფლების წევრი.**



# ეკონომიკურად რას ვიგებთ ევროკავშირთან თანამშრომლობით?!

(მეოთხე გვერდიდან)

### რა წვლილი შეაქვთ ევროკავშირიდან ჩამოსულ ტურისტებს ქვეყნის ბიუჯეტში

**ტურიზმის სექტორისთვის ევროპელი ვიზიტორები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ევროკავშირის ქვეყნებიდან მხარჯველიანი ტურისტები ჩამოდიან.**

2023 წელსაც ევროკავშირიდან ვიზიტორების რაოდენობა პანდემიამდელ, ანუ 2019 წლის მაჩვენებელს ჯერ არ დაბრუნებია. წლიური მაჩვენებელი ცნობილი იანვარში გახდება, 9 თვის მონაცემებით კი ევროკავშირიდან ჯამში 329 ათასი ტურისტი შემოვიდა, რომლებმაც ქვეყანაში 428 მლნ დოლარი დახარჯეს. ვიზიტორების რაოდენობის კლების მიუხედავად, ამ წლის 9 თვეში ევროკავშირიდან ჩამოსულების ხარჯები უფრო მეტი იყო, ვიდრე 2019 წელს.

**„გაზრდილია როგორც სასტუმროს, ისე რესტორნის ხარჯები. 2019 წელთან შედარებით ასევე გაიზარდა ვიზიტების ხანგრძლივობა, რაც ცხადია, დანახარჯებზეც აისახა“,** – ამბობს „თიბისი კაპიტალის“ კვლევის მიმართულების უფროსი **ირინა კვახაძე.**

უკრაინაში მიმდინარე ომმა ევროკავშირიდან ვიზიტორების ჩამოსვლა შეაფერხა, რადგან საქართველო ომის ფონზე ზოგიერთი ვიზიტორისთვის უსაფრთხო ქვეყნად აღარ მიიჩნეოდა. ევროპელ ტურისტებში შედიან დიდი ბრიტანეთიდან ჩამოსული ვიზიტორებიც, ბრექსიტის მიუხედავად, საქართველო მათ კვლავ ევროკავშირთან ერთად ითვლის.

### რა შემოსავალს იღებს ქვეყანა ევროკავშირთან ვაჭრობით?

**საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება აქვს გაფორმებული. შეთანხმებით, საქართველოში წარმოებული პროდუქტები გარკვეული პირობების (მაგალითად, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა) დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბაჟო გადასახადის გარეშე შედის ევროკავშირის ბაზარზე.**

2023 წლის 11 თვეში საქართველოდან ჯამში თითქმის 5,6 მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა ექსპორტზე და აქედან 669 მლნ დოლარი ევროკავშირზე მოდიოდა. ეს ნიშნავს, რომ მთლიანი ექსპორტის 12% მოდის ევროკავშირის 27 ქვეყანაზე.

წელს ექსპორტი ევროკავშირთან 129 მლნ დოლარით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია ძირითადი საექსპორტო პროდუქციის – სპილენძის მადნებისა და თხილის ექსპორტის შემცირებით.

**ევროკავშირთან ექსპორტი ბოლო ხუთ წელში ასეთია:**

- **საქართველოდან ევროკავშირში გაყიდული პროდუქტების ძირითადი ხუთეული:**
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები;**
- **თხილი;**
- **მინერალური და აზოტოვანი სასუქები;**
- **ეთილის სპირტი;**
- **ღვინო.**

**„შეგვიძლია პირდაპირ და თამამად ვთქვათ, რომ ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობის შეთანხმებას სათანადოდ ვერ ვიყენებთ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ბარიერები არ არსებობს, ძალიან რთულია, რომ ახალი პროდუქტი გამოჩნდეს, რის ექსპორტსაც ვახორციელებთ, ძირითადად ერთი და იგივე პროდუქტი გაგვაქვს და იქაც მნიშვნელოვანი გარღვევა არ გვაქვს“,** – ამბობს **დავით კეშელავა.**

ევროკავშირის ბაზარზე საქართველოსთვის განსაკუთრებით რთული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეტანაა. აქ რთულია სტანდარტების დაცვაც და ქართულ ბრენდებს ცნობადობაც აკლიათ.

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირიდან

**ევროკავშირიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კიდევ ცალკე საკითხია.**

ზოგადად ინვესტიციები ეკონომიკაში რამდენიმე მიზეზით შემოდის, ერთ-ერთი მთავარი ისაა, რომ ადგილობრივი წარმოების გაუმჯობესებას ეხმარება ეფექტიანად.

**„ინვესტიციების შემოსვლა გულისხმობს არა მხოლოდ კაპიტალის, არამედ ცოდნის, გამოცდილებისა და კონტაქტების შემოსვლას... ქვეყანაში ინვესტიციები რომ შემოვიდეს, კონკურენტუნარიანი უნდა იყო და ჩვენ ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს ამ კუთხით, მათ შორის – ფინანსებზე წვდომა, კვალიფიკაციური მუშახელი, სასამართლო და სხვა“,** – ამბობს **დავით კეშელავა.**

2023 წლის 9 თვის მონაცემებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1,4 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, აქედან ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციების მოცულობა 540 მლნ დოლარი იყო.

**მარიამ ვარადაშვილი**

## პრიგოჟინის მკვლელობა პუტინისა და პატრუშევის ბრძანებით მოხდა



**„უოლ სთრით ჯორნალის“ ცნობით, „ვაგნერის“ დამფუძნებელ ევგენი პრიგოჟინის თვითმფრინავი ვლადიმერ პუტინის თანხმობითა და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, ნიკოლაი პატრუშევის ბრძანებით ააფეთქეს.**

ამერიკული გამოცემა აღნიშნულ ინფორმაციას დასავლეთის სპეცსამსახურებზე და რუსეთის დაზვერვის ყოფილ ოფიცერზე დაყრდნობით ავრცელებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პატრუშევი შეშფოთებული იყო კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერისა“ და თავად პრიგოჟინის პოლიტიკური თუ სამხედრო გავლენის ზრდით. სტატიის მიხედვით, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ჯერ კიდევ 2022 წლის ზაფხულში აფრთხილებდა პუტინს, რომ პრიგოჟინი კრემლს ემუქრება.

პრიგოჟინის ლიკვიდაციის გეგმა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის დავალებით შეადგინეს, პუტინი მას გაეცნო და დაეთანხმა. „უოლ სთრით ჯორნალის“ ცნობით, ასაფეთქებელი მოწყობილობა „ვაგნერის“ ხელმძღვანელის თვითმფრინავზე მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში, რუსეთის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, მისი შემოწმებისას დაამონტაჟეს.

## მძევლები მაშინ გათავისუფლდებიან, როცა აგრესია შეწყდება




**„ჰამასის“ მიერ გავრცელებული განცხადებაში ნათქვამია: „არსებობს პალესტინური ეროვნული გადაწყვეტილება, რომ მძევლებსა და მათ გაცვლაზე შეთანხმების შესახებ საუბარი არ უნდა გაიმართოს, ვიდრე აგრესია სრულად არ შეწყდება“.**

ამ ეტაპზე უცნობია, უერთდებიან თუ არა ამ განცხადებას ღაზის სექტორში მოქმედი სხვა დაჯგუფებები, რომლებსაც ასევე ჰყავთ მძევლები. ცნობისთვის, ამ ეტაპზე ღაზის სექტორში ჯერ კიდევ რჩება 7 ოქტომბრის თავდასხმის დროს გატაცებული 120-ზე მეტი მძევალი. მანამდე ერთ კვირიანი ცეცხლის შეწყვეტის პერიოდში „ჰამასმა“ 100-ზე მეტი მძევალი გაათავისუფლა, სანაცვლოდ ისრაელის ციხეები 300-ზე მეტმა პალესტინელმა დატოვა.

## გამოვლენილია ფრანგული ჯაშუშური ქსელი

**აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საფრანგეთის საელჩოსთან დაკავშირებული ჯაშუშური ქსელი გამოვლინდა. საფრანგეთის მოქალაქემ ნებაყოფლობით წამოიწყო თანამშრომლობა აზერბაიჯანის სამართალდამცავ ორგანოებთან. ამ თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა ათობით ფრანგი საიდუმლო აგენტი, რომელთა ნაწილი მუშაობდა და აგრძელებს საქმიანობას აზერბაიჯანში, ნაწილი კი, ამჟამად მეზობელ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობს.**

აზერბაიჯანული მედია წერს, რომ აზერბაიჯანის სპეცსამსახურებს გადაეცათ მტკიცებულებები და დოკუმენტები სამხრეთ კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, უკრაინასა და მოლდოვაში საფრანგეთის რეზიდენციის საქმიანობის შესახებ. ამასთან, ზოგიერთი უცხოური მედია იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც, მათივე მტკიცებით, ფრანგული ჯაშუშური ქსელი გამოვლინდა, საქართველოსაც მოიხსენიებს. როგორც მედია წერს, ეს ქსელი, რომელიც მოქმედებდა აზერბაიჯანში საფრანგეთის საელჩოს შიდა რეზიდენციიდან, არა მხოლოდ აწარმოებდა ჯაშუშობას, არამედ აქტიურად აფართოებდა თავის გავლენის სფეროს რეგიონში.

## უკრაინაში კორუფცია მძვინვარებს

**უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსი დააკავა უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის საარტილერიო ჭურვების შესყიდვისას 1.5 მილიარდი გრივნის მითვისების მცდელობის გამო.**

გამოძიების მონაცემებით, თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა პირმა გასული წლის დეკემბერში გააფორმა ხელშეკრულება სპეციალურ ექსპორტიორ კომპანიასთან უკრაინელი დამცველებისთვის საარტილერიო ჭურვების საბითუმო პარტიის შესაძენად, თუმცა მაშინ საბიუჯეტო სახსრები არ გადაირიცხა ექსპორტიორი კომპანიის ანგარიშზე.

თავდაცვის სამინისტროს ახლადშექმნილმა შესყიდვების სააგენტომ შემდგომში გააფორმა უფრო მომგებიანი კონტრაქტი იმავე საარტილერიო ჭურვების მიწოდებაზე იმავე მწარმოებელთან. ახალი ხელშეკრულება ითვალისწინებდა საბრძოლო მასალის შეძენას შუამავლების გარეშე, უშუალოდ მწარმოებლისგან, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მიწოდების დრო და შეამცირა მისი ღირებულება. თუმცა, დაკავებულმა უგულებელყო შესყიდვების სააგენტოს ხელშეკრულება და არაგონივრულად გაახანგრძლივა წინა ხელშეკრულება სპეციალურ ექსპორტიორ კომპანიასთან.




**„უფრო მეტიც, „ძველი“ კონტრაქტის გახანგრძლივების შემდეგ, თითქმის 1,5 მილიარდი გრივნა გადაირიცხა შვილობილი უცხოური შუამავლის კომპანიის ანგარიშებზე. ეს თანხა 30%-ით აღემატებოდა მწარმოებელთან პირდაპირი კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქციის ღირებულებას“,** – ნათქვამია უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაში.

**ამას წინათ საფრანგეთის ქალაქმა ანტიბმა მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაციის (WUKF, პრეზიდენტი – X დანის მფლობელი ლივიუ კრისანი) ორგანიზებით სპორტის ამ სახეობაში ევროპის XIII ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში 30 ქვეყნის 3000-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველოს სპორტის ღირსებას 25-კაციანი დელეგაცია იცავდა. როგორც ვწერდით, ჩვენმა კარატისტებმა (ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა სურმანიძე, ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით მენაბდიშვილი) 6 ოქროს, 1 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გუნდური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ოქროს მედლები მოიპოვეს ლუკა ხვედელიანმა, ტატო სამხარაძემ, ჭაბუკა მახარაძემ და ავთო გიუნაშვილმა. უფროსებს შორის ინდივიდუალურ კუმიტეში ოქროს მედალი დაიმსახურა ტატო სამხარაძემ. მასვე აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი ხვდა. კატაში ბრინჯაოს მედალი ჭაბუკა მახარაძეს ერგო.

სხვადასხვა ასაკში ოქროს მედლები მოიპოვეს თამარ ცინცაძემ, ლუკა შანთაძემ და დავით გულოიანმა, ხოლო მერაბ ლომაძე, დავით გულოიანი, მათე ძიგანაძე, იოანე ჭუმბაძე და თეონა აბრამიშვილი (ყველა – კუმიტეში) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ. ვეტერანთა კუმიტეში პირველი ადგილი ირაკლი ღონღაძემ დაიკავა.

საგულისხმოა, რომ შეჯიბრებაზე გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე გაიმართა წარდგინება ბუშიდოს (მეომრის გზა) პრინციპებზე, ქართული ტრადიციული მეომრის მორალსა და ზნეზე დამყარებული „საქართველოს კარატეს გაერთიანებული ეროვნული ფედერაციისა“, რომელიც მსოფლიოს კარატეს ფედერაციის კავშირშიც (WUKF) გაწევრდა.

კარატეს გაერთიანებული ფედერაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტია სენსეი **გოჩა სურმანიძე** (შავი ქამარი, მე-5 დანი), რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის სრულიად საქართველოში, განსაკუთრებით კი აჭარის რეგიონში კარატეს განვითარება-პოპულარიზაციაში.

კარატე



# მეომრის გზის პრინციპებით – მწვერვალებისკენ

ფედერაციის დამფუძნებლები არიან, ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამაარსებელი, საქართველოს კარატეს გაერთიანებული ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი **ლევან ჩხეიძე;** ფოთის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი **ცეზარ სულამანიძე** (მე-5 დანი); ვეტერანებში მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების აღმზრდელი **ემზარ სოსელია** (შავი ქამარი, მე-3 დანი); შერეული ორთაბრძოლების ინსტრუქტორი, ევროპის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი **ალექსანდრე კვანტალიანი** (მე-5 დანი); ტაეკვონდოს ინსტრუქტორი, მსოფლიოს და ევროპის პრიზიორი, კავკასიის ჩემპიონი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საბრძოლო ხელოვნებათა კლუბ „კასპის“ პრეზიდენტი **ალექსანდრე მანძულაშვილი** (მე-4 დანი); კატასა და კუმიტეში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სახელოვანი სპორტსმენების აღმზრდელი **მალხაზ ჭუმბურიძე** (მე-5 დანი); რუსთავის კარატეს ფედერაციის დამფუძნებელი, შერეული ორთაბრძოლებისა და „კრავ-მაგას“ ინსტრუქტორი **ზურაბ აბაკელია** (შავი ქამარი – 1 დანი).

კარატეს გაერთიანებული ფედერაციის დაფუძნებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის „დინასტიურ მამუკა ბაგრატიონის ფონდს“, რომლის დამაარსებელი და პრეზიდენტიც გახლავთ ევროპაში ყველაზე ძველი სამეფო დინასტიის - „ბაგრატიონების“ წარმომადგენელი, დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ ნამდვილი წევრი, „სამხედრო ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების“ საპატიო წევრი, „სამეფო ჟურნალის“ რედკოლეგიის წევრი, „საქართველოს გენეალოგიისა და ჰერალდიკის საერთაშორისო საზოგადოების“ დამფუძნებელი, არქაული ეპოქის ისტორიის მკვლევარი პრინცი **მამუკა ბაგრატიონი.**

„საქართველოს გაერთიანებული კარატეს ფედერაციის“ პრეზენტაციას ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები – პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები: გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე და აფხაზეთ-სამაჩაბლოს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე **დავით მჭედლიძე;** ასევე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჭიდაობაში, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი **ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილი**, სამეფო ჟურნალის (ROYAL JURNAL) მთავარი რედაქტორი **მარი ელენი,** პარლამენტის წევრი **ტარიელ ნაკაიძე.** საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი **ლევან მაღრაძე.** საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ჟურნალისტი, სპორტის თემატიკაზე მრავალი წიგნის ავტორი **გაბრიელ ბარჯაძე,**

**– ევროპის ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ქართულ გენში უდიდესი შესაძლებლობები იმალება და მათი, რაც შეიძლება ფართოდ, სამზეოზე გამოტანაა აუცილებელი. ამიტომაც მოზარდთა დაფრთიანებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, ასევე, დაფასდება ყველა ვეტერანი და კარატედოს პიონერი, რომლებმაც საქართველოში ამ სახეობის შემოტანასა და განვითარებას ჩაუყარეს საფუძველი. ფედერაციის წევრებისთვის შემუშავდა ქცევის შინაგანაწესი, რომლის შესრულება სავალდებულო იქნება ყველასთვის. დაგეგმილია აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციებთან, ხელისუფლებასთან. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ჩვენი ორგანიზაცია ერთ-ერთი საუკეთესო იყოს,** – გვითხრა **მამუკა ბაგრატიონმა.**

**ვაჟა დანელია**

სასწავლო წლის ფინიშზე



# მე-60 სკოლის რჩეულნი

